საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა
ხელოვნების ისტორია და თეორია
(ძველი და თანამედროვე ხელოვნება)

პროგრამის ხელმძღვანელები:
ნინო ღაღანიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსსა პროფესორი
თამარ ხუნდაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსსა ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ
სხდომის ოქმი N21 24.04.2023

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათება: საქართველო, რომელიც მდიდარია თავისი კულტურული მემკვიდრეობით და ასევე გამოირჩევა ძალზე აქტიური თანამედროვე სახელოვნებო პროცესებით ძალზე მდიდარ საკვლევ მასალას სთავაზობს ჰუმანიტარული სფეროს მკვლევარებს. ქართული სახელოვნებათცოდნეო სკოლა აგერ უკვე 100 წელზე მეტია სწავლობს ქართულ ხელოვნებას, თუმცა, ცხადია, საკვლევი და შესასწავლი, გასააზრებელი და გასაცნობიერებელი ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრია. შორეული თუ უახლესი ქართული ხელოვნების კვლევა ძალზე აქტუალურია არ მარტო თავად ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, არამედ თვითრეფლექსიისათვის, საკუთარი კულტურის რაობის, ხასიათის და მისი ადგილის გააზრებისათვის დღევანდელი გლობალური მსოფლიოს კონტესტში. წინამდებარე პროგრამა სწორედ ამ მიზანს ამსახურება. ის მოიცავს ქართული ხელოვნების ორ უმნიშვნელოვანეს ეტაპს: ძველსა და თანამედროვე (XIX-XXI სს) ქართული ხელოვნების ისტორიას. ეს ორი ეტაპი პროგრამაში ორი კონცენტრაციის სახითაა წარმოდგენილი.
პროგრამა ავითარებს როგორც ფართო, აგრეთვე, ნიშანდობლივ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერების დარგობრივ კომპეტენციებს. თითოეული პროგრამული კონცენტრაცია შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას. ამასთანავე, მათ აერთიანებთ სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია, კვლევის თანამედროვე მეთოდთა სპეციფიკა და პრინციპები.

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები. Arts and
Humanities
ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 021 ხელოვნება. Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0213 სახვითი ხელოვნება. Fine Arts

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0213.1.5. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი
Master of Arts (MA) in Art History and Theory

განათლების საფეხური: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (ECTS)
სწავლების ხანგრძლივობა – 2 აკადემიური წელი, 4 სემესტრი.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები:
პროგრამის მიზანია, მოამზადოს ხელოვნების ისტორიკოსები, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების კვალიფიციური მკვლევარები, რომლებსაც გაცნობიერებული ექნებათ მისი როლი და ადგილი მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს აგრეთვე ქართული ხელოვნების

სპეციფიკური “სამეტყველო ენის” თავისებურებათა კვლევა, ანალიზი და სწავლება სპეციფიკური დარგობრივი და მომიჯნავე დისციპლინების (კულტურის კვლევები, ანალიზი და სხვ.) კვლევის მეთოდების მეშვეობით.

სწავლის შედეგები:

1. მაგისტრს აქვს ქართული ხელოვნების, კლასიკურ და თანამედროვე კვლევებზე დამყარებული, ფართო და ღრმა ცოდნა; იგი საფუძვლიანად იცნობს ფაქტობრივ მასალას და ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპებს, ამ ეტაპებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, აცნობიერებს ამ ეტაპებს შორის არსებულ მემკვიდრეობით კავშირებს;
2. მაგისტრს აქვს ხელოვნების თეორიის ფუნდამენტური პრინციპების ცოდნა; მან იცის ამ დარგის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებისა და განვითარების გზების შესახებ; იგი იცნობს როგორც სახელოვნებათმცოდნეო, ისეინტერდისციპლინურ კვლევის მეთოდებს;
3. მაგისტრი აცნობიერებს ქართული ხელოვნების ადგილს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში და ასევე აცნობიერებს მის კვლევასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური თუ სხვა ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზებს;
4. მაგისტრი იცნობს კულტურის პოლიტიკისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძირითად პრინციპებს და ღირებულებებს;
5. მაგისტრი წამოჭრის საკვლევ საკითხებს, მას შეუძლია ამ საკითხების მკაფიოდ ფორმულირება, ჰიპოთეზების შემუშავება; წამოჭრილის საკითხის შესახებ შესაბამისი სამეცნიერო სპეციალიზებული ლიტერატურის კრიტიკულად დამუშავება;
6. მაგისტრი თემაზე მუშაობის პროცესში, ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, ხელოვნების ორიგინალური ნიმუშის შესწავლის გზით, ახდენს საკვლევი მასალის სისტემატიზირებასა და კატალოგიზაციას, ასევე, იგი აანალიზებს ხელოვნების ნიმუშს სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდების გამოყენებით;
7. მაგისტრი აცნობიერებს ხელოვნების ისტორიის სფეროს ინტერდისციპლინურ ხასიათს, მომიჯნავე დარგებთან (ისტორია, პალეოგრაფია, წყაროთმოცდნეობა, არქეოლოგია, ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო და ა.შ.) მის კავშირს და, საჭიროების შემთხვევაში, კვლევისას სახელოვნებათმცოდნეო მეთოდებთან ერთად, იყენებს ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს, რის შედეგადაც ახდენს ხელოვნების ნიმუშის ინტერპრეტაციას და სვამს მას ისტორიულ კონტექსტში;
8. მაგისტრს შეუძლია ხელოვნების ისტორიის კონკრეტულ პრობლემაზე კვლევითი ხასიათის რეფერატის, საკონფერენციო მოხსენების, სტატიის, სამაგისტრო ნაშრომის შექმნა და მომზადება აკადემიური

კეთილსინდისიერების პრინციპებს დაცვით;

9. მაგისტრს შეუძლია ხელოვნების ისტორიის პრაქტიკული სფეროებში - მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, სახელოვნებო ბაზარი, მედია, ჟურნალისტიკა, ტურიზმი და ა.შ. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, აქტუალური საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირება, ამ პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა;
10. მაგისტრს შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობითი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, კვლევითი სამუშაოს დაგეგვა და განხორციელება პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვითა და პასუხისმგებლობით წარმართავა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი კულტურული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა უცხო ენაში (თსსა);
- რეფერატი ხელოვნების ისტორიის შერჩეულ სფეროში და პრეზენტაცია

სწავლების ხანგრძლივობა - 2 აკადემიური წელი, 4 სემესტრი.

აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **120 ECTS** და მისი სტრუქტურა ამგვარია:

1. საფაკულტეტო საგნები - 20 ECTS
2. სპეციალობის ძირითადი დისციპლინები - 40 ECTS
3. არჩევითი საგნები - 25 ECTS
4. პრაქტიკა - 5 ECTS
5. სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS